ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანის - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომისა

ქალაქი ხობი 2016 წლის 20 მაისი

14 საათი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ალექსანდრე არჩაია - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
2. მურმან ბაბილუა - წევრი;
3. მამუკა ბუკია - წევრი;
4. ლელა კიტია - წევრი;
5. თეა სოსელია - წევრი;
6. ჯონი ფარცვანია - წევრი;
7. ბელა ქვარცხავა - წევრი, მდივანი;
8. იგორ ქირია - წევრი;
9. ნატო ცხადაია - წევრი;
10. მახარე ჩოკორაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
11. შორენა კანკია - შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

1. „ინფორმაციის მოსმენა ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების პროგრამის შესახებ" (მომხსენებელი - ალექსანდრე არჩაია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე);

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. „ინფორმაციის მოსმენა ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების პროგრამის შესახებ" (მომხსენებელი - ალექსანდრე არჩაია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე);

მომხსენებელმა, მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სოციალური დახმარების პროგრამის მიმართულებებისა და პარამეტრების შესახებ. მომხსენებლის განმარტებით, ადგილობრივ ბიუჯეტში, უფრო მეტი თანხაა გასათვალისწინებელი, ომის ვეტერანებისთვის ფულადი დახმარების გასაწევად.

აზრი გამოთქვეს: მურმან ზაბილუა - განაცხადა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ იძულებით გადაადგილებული პირები და მათი ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა მედიკამენტების შესაძენად, ადგილობრივ ბიუჯეტში თანხის გათვალისწინება.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობის 2016 წლის ბიუჯეტში - სოციალური დახმარების პროგრამაში დამატებითი თანხის გათვალისწინებაზე გამგებლისთვის რეკომენდაციის გაწევის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი

გადაწყვეტილება მიღებულია

დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს გაეგზავნოს წერილი ადგილობრივი თვითმმართველობის 2016 წლის ბიუჯეტში - სოციალური დახმარების პროგრამაში დამატებითი თანხის გათვალისწინების შესახებ; წერილის მომზადება დაევალოს მრჩეველთა საბჭოს მდივანს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე არჩაია